საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1731/01
23/02/2022

1731-01-2-202202231050

შპს „ალ.კეს“

მის: ლაგოდეხოს რაიონი, სოფ. აფენი

ელ. ფოსტა: Spsh.al.ke@gmail.com;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 3 თებერვლის №1625 განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგეთის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო საწარმოს აღმოსავლეთით, 120 მეტრში, ჩამოედინება მდინარე კაბალი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მდინარე კაბალი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 260 მეტრში. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 500 მეტრზე მეტი მანძილით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიდებარედ არსებული არხიდან, რომელიც გამოედინება საწარმოს სიახლოვეს მდებარე ტბორიდან და ჩაედინება მდ. კაბალში. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ტბორის მოცულობა და მისი შევსების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ვინაიდან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალაღება გათვალისწინებულია საპროექტო საწარმოს მიმდებარედ არსებული არხიდან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია არხის მესაკუთრის შესახებ და მასთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება, სადაც წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხდება წყალაღება/წყალჩაშვება, ვინაიდან, სკრინინგის განცხადებაში, რიგ შემთვევაში, იგი მოხსენიებულია როგორც „არხი“ და რიგ შემთხვევაში - როგორც „უსახელო ღელე“;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს, როგორც აღებული, ისე ჩაშვებული წყლის რაოდენობა და ჯერადობა თვეების მიხედვით, ასევე, ჩაშვებულ

ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეიკრიბება საწარმოო მოედანზე მოწყობილი შემკრები ღარებით და მიეწოდება ორკამერიან, ჰორიზონტალურ სალექარებს“, ხოლო საწარმოს გენგეგმაზე დატანილია მხოლოდ ერთი სალექარი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. იმ შემთხვევაში, თუ, საპროექტო ტერიტრიაზე დაგეგმილია რამდენიმე სალექარის მოწყობა, წარმოდგენილი უნდა იქნეს თითოეული სალექარის პარამეტრები, გენგეგმაზე დატანით;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალექარში იკრიბება როგორც საწარმოო, ისე შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლები. სკრინინგის განცხადების თანახმად, სალექარის პარამეტრები და დაგროვილი გაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის (ინერტული მასალების რეცხვა/დანამვა, საწარმოს ტერიტორიის და მისასვლელი გზის ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებები და სხვა.), ამიტომ გამოყენებული წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება მოხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გამოყენებული იქნეს სრული ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა და არ მოხდეს ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება, რის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დაზუსტებულ სკრინინგის განცხადებაში..

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე